# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი 21/03/2016

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 277

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს წესდების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს $106^1$ მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

**1.** დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს (ს/კ №445393510) თანდართული წესდება.

**2.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 31 იანვრის №11 განკარგულებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს წესდება.

**3.** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს დირექტორს (ნატალია ზაქარეიშვილი, პირადი ნომერი 61001021630) დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

**4.** წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**5.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

„დამტკიცებულია“
ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება
2016 წლის ..21.. მარტი, №...277

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის**
**- „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს**

# წესდება

## თავი I. ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. წესდების რეგულირების სფერო

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს წინამდებარე წესდება (შემდგომში - წესდება) ვრცელდება ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ზე (შემდგომში - საბავშვო ბაღების გაერთიანება), რომელიც განსაზღვრავს მათ ორგანიზაციასა და სტრუქტურას, აგრეთვე აწესრიგებს მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს.

2. საბავშვო ბაღების გაერთიანება, როგორც სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება, შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, რომელიც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის კონტროლით, დამოუკიდებლად ეწევა სკოლამდელ საგანმანათლებლო-აღმზრდელობით საქმიანობას.

### მუხლი 2. საბავშვო ბაღების გაერთიანების სტატუსი

1. საბავშვო ბაღების გაერთიანება არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი იურიდიული პირი და მისი მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.

2. საბავშვო ბაღების გაერთიანების უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.

3. საბავშვო ბაღების გაერთიანება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

4. საბავშვო ბაღების გაერთიანებას დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვს დადოს გარიგებანი, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში და არბიტრაჟში.

5. საბავშვო ბაღების გაერთიანებას აქვს საკუთარი ბალანსი, ანგარიში ბანკში, ბეჭედი, შტამპი და სტატუსის განმსაზღვრელი სხვა შესაბამისი რეკვიზიტები.

## თავი II. საქმიანობის საგანი

### მუხლი 3. საბავშვო ბაღების გაერთაინების მიზნები

1. საბავშვო ბაღების გაერთიანება არის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება, სადაც წარმოებს ბავშვების მოვლა, აღზრდა-განათლება, მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა სამი წლიდან სასკოლო ასაკამდე.

2. საბავშვო ბაღების გაერთიანების მიზანია მოამზადოს ბავშვი სკოლისათვის, საფუძველი ჩაუყაროს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას, მისი აზროვნების, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას, მის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას, სხვისი აზრისა და საკუთრების პატივისცემას, ხელი შეუწყოს ბავშვის ჯანმრთელობის დაცვას.

3. საბავშვო ბაღების გაერთიანება ოჯახთან ურთიერთკავშირში ზრუნავს ბავშვის სრულფასოვან განვითარებაზე, ვალდებულია დაიცვას ბავშვი ნებისმიერი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზემოქმედებისაგან, დაიცვას მისი უფლებები, ხელი შეუწყოს ბავშვის შემოქმედებითი შესაძლებლობისა და ინტერესების განვითარებას.

4. საბავშვო ბაღების გაერთიანების საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზების ფორმები განისაზღვრება საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

**მუხლი 4. საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის მონაწილენი**

საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის მონაწილენი არიან:

ა) აღსაზრდელები;

ბ) აღმზრდელები;

გ) მშობლები.

**მუხლი 5. საბავშვო ბაღების გაერთიანებაში სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება**

1. საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება ხდება აღსაზრდელი ბავშვის ასაკის მიხედვით:

ა) უმცროსი ჯგუფი - 3 წლიდან - 4 წლამდე;

ბ) საშუალო ჯგუფი - 4 წლიდან - 5 წლამდე;

გ) უფროსი ჯგუფი - 5 წლიდან - სასკოლო ასაკამდე.

დ) შერეული ჯგუფი.

2. საბავშვო ბაღებში თითოეული საბავშვო ბაღის სააღმზრდელო ჯგუფებში აღსაზრდელთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 35 აღსაზრდელით.

3. საბავშვო ბაღების გაერთიანების თითოეული საბავშვო ბაღის სააღმზრდელო ჯგუფების რაოდენობა განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

4. საბავშვო ბაღების გაერთიანების დაქვემდებარებაში არსებულ ქ. ბათუმის საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა მიღება (ჩარიცხვა) ხდება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით (www.batumikids.ge).

5. საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა მიღების (ჩარიცხვის) და ამორიცხვის წესები განისაზღვრება გაერთიანების დირექტორის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

6. არასტანდარტულ საბავშვო ბაღებში ჯგუფების დაკომპლექტების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის წარდგინების საფუძველზე.

## თავი III. საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურა და მართვა

**მუხლი 6. საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურა**

1. საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურა და სტრუქტურაში შემავალი თანამშრომლების რაოდენობა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად.

2 საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების (მათ შორის საბავშვო ბაღების) უფლებამოსილებები, ასევე თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები (უფლება-მოვალეობები) საბავშვო ბაღების გაერთიანების ფუნქციებიდან გამომდინარე განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.

## მუხლი 7. საბავშვო ბაღების გაერთიანების მართვა

1. საბავშვო ბაღების გაერთიანებას მართავს (ხელმძღვანელობს) დირექტორი, რომელსაც გააჩნია საბავშვო ბაღების გაერთიანების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

2. საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე.

3. დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

4. საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის (დროებითი შრომისუუნარობის გამო) ან სხვა საფუძვლის არსებობისას დირექტორისათვის შრომითი ურთიერთობის დროებით შეჩერების დროს, გაერთიანების დირექტორის მოადგილეებისგან დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

## მუხლი 8. საბავშო ბაღების გაერთიანების დირექტორის უფლება-მოვალეობანი

1. საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორს უფლება აქვს:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცეს ბრძანებები და ბრძანების საფუძველზე მოახდინოს თავისი უფლებამოსილების დელეგირება (გადაცემა) დირექტორის მოადგილეების მიმართ;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესითა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში დადოს შრომის და სხვა ხელშეკრულებები (გარიგებები), ხელი მოაწეროს საბავშვო ბაღების გაერთიანების ფინანსური სახსრების განკარგვასა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს;

გ) საბავშვო ბაღების გაერთიანების საქმიანობიდან გამომდინარე ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება;

დ) დასახული მიზნის მისაღწევად დაამყაროს შრომითი სამართლებრივი ურთიერთობები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით განსაზღვრული საშტატო განრიგის შესაბამისად;

ე) მოითხოვოს თანამშრომლებისაგან და მშობლებისგან დაიცვან მოქმედი კანონმდებლობით, წესდებით, შინაგანაწესითა და დირექტორის მიერ დადგენილი შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები;

ვ) წარმოადგინოს საბავშვო ბაღების გაერთიანება მესამე პირებთან ურთიერთობაში და იმოქმედოს საზოგადოების სახელით;

ზ) თანამშრომლებისაგან მიიღოს ინფორმაცია საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის მსვლელობის შესახებ;

თ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით დაამტკიცოს საბავშვო ბაღების გაერთიანების შინაგანაწესი;

ი) საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგოს საბავშვო ბაღების გაერთიანების საკუთრებაში არსებული ქონება, თუ ქონების განკარგვა ხელს უწყობს საბავშვო ბაღების გაერთიანების საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებასა და მიზნების (ამოცანების) განხორციელებას;

კ) მერს წარუდგენს შუამდგომლობას არასტანდარტულ ბაღებში აღსაზრდელთა ლიმიტს ქვევით დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად;

ლ) ახორციელებს მისთვის მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი ვალდებულია:

ა) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები;

ბ) უზრუნველყოს ბავშვის ინტერესების დაცვა საბავშვო ბაღების გაერთიანების აღმზრდელებთან, მედპერსონალთან და ბავშვის მშობლებთან უშუალო კავშირში;

გ) პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს საბავშვო ბაღების გაერთიანებაში არსებული მდგომარეობის თაობაზე;

დ) საბავშვო ბაღების გაერთიანების სახსრების ეფექტურად განკარგვის მიზნით მჭიდროდ ითანამშრომლოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან;

ე) დაიცვას საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით აღიარებული ბავშვთა უფლებები;

ვ) შექმნას ბავშვებისათვის შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობები;

ზ) უზრუნველყოს ხარისხიანი კვება და შესაბამისი რეჟიმის დაცვა;

თ) მშობლის მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მას საბავშვო ბაღების გაერთიანების წესდება და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საჯაროა.

## თავი IV. ფინანსები

### მუხლი 9. დაფინანსირების ძირითადი წყარო

1. საბავშვო ბაღების გაერთიანების ფინანსირების ძირითადი წყაროა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. ასევე, საბავშვო ბაღის შემოსავლის წყარო შეიძლება იყოს დამხმარე სამეწარმეო საქმიანობიდან, გრანტებიდან, შემოწირულობებიდან და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლები.

2. საბავშვო ბაღების გაერთიანების წლიურ ხარჯთაღრიცხვას განსაზღვრავს დირექტორი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

### მუხლი 10. აღრიცხვა-ანგარიშგება, რევიზია

საბავშვო ბაღების გაერთიანების საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება და რევიზია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი V. კონტროლი

### მუხლი 11. კონტროლი

1. საბავშვო ბაღების გაერთიანების საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საბავშვო ბაღების გაერთიანების საქმიანობის კონტროლს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

## თავი VI. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

### მუხლი 12. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

საბავშვო ბაღების გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### მუხლი 13. წესდებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი 22/04/2016

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 395

**„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება"-ს წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 106[1] მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

**1**. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების" წესდებაში (დამტკიცებული: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 21 მარტის №277 ბრძანებით) შეტანილ იქნეს ცვლილება და წესდების მე-5 მუხლს მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის 2[1] პუნქტი:

„2[1]. გამონაკლისის სახით, განსაკუთრებული საჭიროებისას, როგორც დროებითი ღონისძიება, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი, საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის წარდგინების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას საბავშვო ბაღის სააღმზრდელო ჯგუფებში აღსაზრდელთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს დადგენილ ლიმიტს ზემოთ."

**2**. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების" დირექტორს (ნატალია ზაქარეიშვილი, პირადი ნომერი 61001021630) დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

**3**. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**4**. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბაგრატ მანველიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი 20/11/2017

2087-25-4-201711201405

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 2087

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ $106^1$ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

**1.** „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს (ს/კ №445393510) წესდების (დამტკიცებული: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 21 მარტის №277 ბრძანებით) მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის $3^1$ და $3^2$ პუნქტები:

„$3^1$. დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება ერთი სამეურნეო წლის ვადით, რომელიც მოიცავს წლის დასაწყისიდან - 1 იანვრიდან წლის დასასრულამდე - 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს (კალენდარული წელი).

$3^2$. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია ვადაზე ადრე გაათავისუფლოს დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან ან გაუგრძელოს უფლებამოსილების ვადა ერთი სამეურნეო წლით.“.

**2.** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს (ს/კ №445393510) წესდების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“; „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები:

„ი) დირექტორს უფლება არ აქვს გამოიტანოს ნაღდი ფული საზოგადოების საბანკო ანგარიშ(ებ)იდან;

კ) დირექტორს უფლება არ აქვს საბანკო ოპერაციები (გადარიცხვები) აწარმოოს მთავარი ბუღალტერის ავტორიზაციის გარეშე. თუ საზოგადოებას არ ჰყავს მთავარი ბუღალტერი, მაშინ აღნიშნულ უფლებამოსილებას დირექტორთან ერთად ახორციელებს თანამშრომელი, რომელიც თანამდებობრივად პასუხისმგებელია საბუღალტრო აღრიცხვაზე;

ლ) დირექტორი ვალდებულია ყოველთვიურად (პირველ დეკადაში) დამფუძნებელ პარტნიორს წარუდგინოს ამონაწერ(ებ)ი საწარმოს საბანკო ანგარიშ(ებ)იდან მიმდინარე თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით.".

**3.** წინამდებარე ბრძანებით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება"-ს წესდებაში განხორციელებული ცვლილება ვრცელდება ასევე ამ ცვლილების ამოქმედებამდე დანიშნულ დირექტორზეც, რაც ნიშნავს, რომ მოქმედი დირექტორის უფლებამოსილების ვადაა 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

**4.** ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსს (ვახტანგ გედენიძე, პირადი ნომერი: 61001051657) დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

**5.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი